



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

14.03.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №29

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2019 წლის 14 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1.1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით გახარია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  
თანამომხსენებელი: მურთაზ ბოკუჩავა- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

1.2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ირაკლი ლაგვილავა-ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: მამუკა ლოგუა-ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

1.3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

მომხსენებელი: მამუკა წოწერია- საკრებულოს თავმჯდომარე

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია